



აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი 67

თებერვალი / 2026

წყალი და სავაჭრობა აჭარის სოფლებში

აჭარის სოფლებში წყლის ხელმისაწვდომობა ძლიერ არის დამოკიდებული სეზონურობაზე. კლიმატის ცვლილება, ტემპერატურის ცვალებადობა, ნალექების რეჟიმის ცვლილება და ხანგრძლივი გვალვის პერიოდები მნიშვნელოვნად მოქმედებს წყლის წყაროებზე, ნიადაგის მდგომარეობასა და გარემოს საერთო სტაბილურობაზე. აღნიშნული ცვლილებები პირდაპირ განსაზღვრავს მოსახლეობას ექნება თუ არა წვდომა წყალზე, განსაკუთრებით აჭარის მაღალმთიან დასახლებებში.




სოფლებში წყალმომარაგების სისტემები ტრადიციულად შენდებოდა და იმართებოდა ოჯახების, ან სოფლის მიერ, ხშირად შესაბამისი ტექნიკური პროექტირების გარეშე. შედეგად, სეზონური ცვლილებები მოსახლეობისთვის წლის განმავლობაში წყალზე სტაბილური წვდომის თვალსაზრისით დამატებით სირთულეებს ქმნის. ოჯახების კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში შენდება ინფრასტრუქტურა რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მთელი წლის განმავლობაში, შეფერხებების გარეშე.

მშრალ სეზონებზე, განსაკუთრებით გაზაფხულსა და ზაფხულში, წყლის წყაროების დებიტი მცირდება, რაც მაღალმთიან ოჯახებს წყლის წყაროებზე ხელმისაწვდომობას უზღუდუავს. ზოგიერთ შემთხვევაში, წყაროსთან ყველაზე ახლოს მცხოვრები ოჯახები სარგებლობენ პრიორიტეტული ხელმისაწვდომობით, მაშინ როდესაც სხვები წყლის დეფიციტსა და არარეგულარულ მიწოდებას განიცდიან.

მკაცრი, თოვლიანი ზამთარი სხვა ტიპის რისკებს ქმნის. ყინვამ შეიძლება დააზიანოს მიწები და გამოიწვიოს წყალმომარაგების შეწყვეტა, რადგან სისტემები სათანადოდ არაა დაპროექტებული ან თბოიზოლირებული, ოჯახები ხშირად ტოვებენ ონკანს ღია მდგომარეობაში მიწების გაყინვის თავიდან ასაცილებლად. ეს მეთოდი არაეფექტურია, სრულად ვერ იცავს სისტემას გაყინვისგან და იწვევს წყლის ზედმეტ დანაკარგს. დამატებით, უკონტროლო წყლის დენა ზრდის ნიადაგის გამოფიტვის და მეწყერის განვითარების რისკებს.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა ამ რისკებს ეხმარება სათანადოდ დაპროექტებული, კლიმატგამძლე ინფრასტრუქტურის შექმნით. წყლის წყაროების სეზონური ცვალებადობა დეტალურად ფასდება, ხოლო ოჯახებში წყლის დღიური მოთხოვნა წინასწარ განისაზღვრება სისტემის საკმარისი სიმძლავრის უზრუნველსაყოფად. ინფრასტრუქტურა დაგეგმილია მთელი წლის განმავლობაში საიმედო ფუნქციონირებისთვის, მათ შორის ზამთრის სიცივეებისგან დაცვის და გვალვის პერიოდებისადმი მდგრადობის გათვალისწინებით. ახალი სისტემები უზრუნველყოფს მაღალმთიანი სოფლებისთვის უწყვეტ და უსაფრთხო წყალმომარაგებას სეზონური გამოწვევების მიუხედავად. დამატებით, კვალიფიციური ოპერატორები სპეციალური გადამზადების მეშვეობით, პასუხისმგებელნი არიან სისტემის მოვლა-პატრონობაზე, რაც აუმჯობესებს მის გრძელვადიან ეფექტიანობასა და მდგრადობას.



საიმედო წყალმომარაგებისა და წყალარინების სერვისები წარმოადგენს ჯანმრთელი საცხოვრებელი გარემოს საფუძველს და ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, მათ შორის ეკოტურიზმის მიმართულებით. აჭარის მაღალმთიანი რეგიონი ცნობილია სტუმართმოყვარეობით, კულტურული მემკვიდრეობითა და თვალწარმტაცი ბუნებრივი ლანდშაფტებით. სანდო კომუნალური ინფრასტრუქტურის არსებობა რეგიონს მრავალმხრივ გრძელვადიან სარგებელს მოუტანს და გააძლიერებს მისი განვითარების პოტენციალს.

ინფორმაციო პროგრამის შესახებ

გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოსთან, აჭარის მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ხელვაჩაური, ქობულეთი) თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა იქმნება.

პროექტის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა 24 საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებს. სამუშაოების განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ასევე ტურიზმის სტიმულირებას.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს "აჭარის წყლის ალიანსი" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის შეხედულებებს.



Funded by
the European Union



KfW



AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

Newsletter 67

February / 2026

WATER AND SEASONALITY IN RURAL AJARA

Water availability in Rural Ajara is strongly influenced by seasonality. Climate change, Temperature shifts, rainfall patterns, and drought periods significantly affect water sources, soil conditions, and overall environmental stability. These changes traditionally directly shape household water security, especially in the highland communities of Ajara.




In many villages, water systems have traditionally been constructed and managed at household or community level, mainly without any technical design. Because of this, seasonal changes create additional challenges for stable water access throughout the year. To improve the wellbeing of families, The Ajara Rural Water Supply and Wastewater Program create infrastructure that would be accessible all year around, without disruptions.

During dry seasons, particularly in spring and summer, reduced source capacity limits water availability for highland households. In some cases, families located closest to the source have primary access, while others experience shortages.



Harsh, snowy winter creates a different risk. Freezing temperatures can and do damage pipes and interrupt supply. As systems are not properly engineered or insulated, households often keep water running continuously to prevent freezing. This method is inefficient, does not fully prevent pipe freezing, and leads to unnecessary water loss. Moreover, it leads to increased landslide risks.



The Ajara Rural Water and Wastewater Program address these risks through properly designed, climate-resilient infrastructure. Seasonal variability of water sources is carefully measured, and daily household demand is projected. Systems are engineered for year-round operation, including winter protection and drought-period reliability. The new infrastructure ensures continuous, safe access to water for highland villages in Ajara, regardless of seasonal conditions. In addition, trained utility operators are responsible for maintenance, which improves long-term system performance.

Reliable water and wastewater services form the foundation for healthier living conditions and support local economic development, including eco-tourism initiatives. Ajara highland is well known for its hospitality, cultural heritage, and scenic landscapes. The presence of reliable communal infrastructure brings multiple long-term benefits to the region and strengthens its development potential.

GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

In the frame of the German-Georgian Financial Cooperation and EU support to Georgia, the municipalities of Ajara (Keda, Shuakhevi, Khulo, Khelvachauri, Kobuleti) will benefit from the modern standard water supply and waste water infrastructure.

Upon completion of the project, people in the municipalities will have 24 hour uninterrupted water supply and properly managed waste water system services.

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme “Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara” is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.